


**პროფესორ ილია მიქაძის ხსოვნა
(1928 – 2010)**



გარდაიცვალა დიდი მეცნიერი და ღირსეული პედაგოგი ილია მიქაძე იგი დაიბადა 1928 წლის 7 იანვარს სოფელ აჩივარაში (გალის რაიონი). 1949 წელს დაამთავრა სპი-ს ელექტროტექნიკური ფაკულტეტი სპეციალობით „ელექტრონული სადგურები. ქსელები და სისტემები“. 1949-1952 წლებში მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის ასპირანტია და იცავს საკანდიდატო დისერტაციას: „დროის მაგნიტური რელე“. 1990 წ. სტუ-ში იცავს სადოქტორო დისერტაციას: „სიჭარბის მქონე მომსახურების ტექნიკური სისტემების საიმედოობისა და ეფექტიანობის პროგნოზირების მოდელები“. 1991 წ. მიენიჭა პროფესორის აკადემიური წოდება.

1953-1956 წლებში. ი. მიქაძე მუშაობს სპი-ში დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1956-1979 წლებში ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მისი ჩამოყალიბების დღიდან) სხვადასხვა თანამდებობებზე: უფროსი ინჟინერი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ლაბ.-გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ინსტიტუტის დირექტორი.

1979-1983 წლებში მუშაობს ახლად ჩამოყალიბებულ სკი „რადიანში“ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და მთავარ ინჟინრად. 1983-1992 წლებში მუშაობას აგრძელებს სტუ-ში ტექნოლოგიური პროცესების და წარმოების ავტომატიზაციის კათედრის გამგის თანამდებობაზე („პროგრამული მართვა მანქანათმშენებლობაში“). სიცოცხლის ბოლო დღემდე გახლდათ სტუ-ს „გამოყენებითი მათემატიკისა და მოდელირების“ კათედრის სრული პროფესორი.

ილია მიქაძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ინფორმატიკის ტექნიკური და პროგრამული საშუალებების დამუშავებას, წარმოებას და დანერგვას. მის მიერ დამუშავებული მეთოდები, მიღებული მეცნიერული შედეგები წარმოადგენს სისტემური ანალიზის, მასობრივი მომსახურების, აღდგენისა და საიმედოობის თეორიის შემდგომ განვითარებას და ქმნის მყარ მეცნიერულ საფუძველს მაღალწარმადობის და მტყუნებათამდგრადი ტექნიკური სისტემების შესაქმნელად.

იგი ავტორია 15 გამოგონების და 200-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის. ბოლო 20 წელიწადში გამოქვეყნებული სტატიებიდან, 60-ზე მეტი თეორიული ხასიათისაა. ისინი გამოცემულაა საზღვარგარეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების პრესტიჟულ ჟურნალებში. ბევრი მათგანი თარგმნილია უცხოეთში. ის მონაწილეა მრავალი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კონფერენციის და სიმპოზიუმის. 1988-1991 წლებში მაღალრეზონანსულ ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით გადაეცა სოროსის გრანტი. იყო ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის მუშა ჯგუფის წევრი სამეცნიერო კვლევის ავტომატიზაციისათვის გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების შექმნის დარგში.

ბატონი ილიას ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ციფრული და ანალოგური ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, დამუშავდა და დაინერგა მთელი რიგი სპეციალიზებული და ბაზური გამოთვლითი სისტემები და კომპლექსები. სახელდობრ: ანალოგური ეგმ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ლუმენის ენერგეტიკული რეჟიმის მართვისათვის; საავიაციო რეაქტიული ძრავების სტაციონალური გამოცდის პროცესის ავტომატიზაციისათვის (დაინერგა მოსკოვის საავიაციო ძრავების ცენტრალური ინსტიტუტის საგამოცდო პოლიგონზე); საინფორმაციო ეგმ კომპლექსები, ატომურ და თბურ ელექტროსადგურებში მძლავრი ენერგობლოკების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისთვის დაინერგა რუსეთში, ირანში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთსა და ფინეთში. ილია მიქაძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, არაერთი სიგელითა და მედლით, იყო აკადემიკოს ვაგილოვის სახელობის პრემიის ლაურეატი.

განსაკუთრებული გულისხმიერებით ზრუნავდა ბატონი ილია ქართული მეცნიერული სკოლის შემადგენლობის გაფართოებაზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ახალგაზრდული შემართებით ჩატარებული ლექციები სტუდენტებთან და მაგისტრანტებთან ყოველთვის გამოირჩეოდა ღრმა შინაარსით და იმსახურებდა მათ მოწონებას.

დაუვიწყარი იქნება სახელოვანი მეცნიერის, დიდებული ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის, ბატონი ილია მიქაძის ხსოვნა მისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ჟურნალის რედაქცია**